ამოცანები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ამოცანებია:

- აღსრულების სახელმწიფო გარემოსდაცვითი კონტროლის განხორციელება რათა უზრუნველყოფილ იქნეს რეგულირების ობიექტების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დაცვა (მათ შორის, ლიცენზიის / ნებართვის პირობების განხორციელება) გარემოს დაცვის სფეროში.
- კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი, მათ შორის, რეგულირების იბიექტების მონაცემთა ბაზა შექმნა, საწარმოო საქმიანობისთვის მინიჭებული ლიცენზიის / ნებართვის პირობების განხორციელების შესახებ ანგარიშების ანალიზი.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვის ხელშეწყობა ინფორმაციის მიწოდების, წინასწარი გაფრთხილების, სპეციალური მხარდამჭერი და პრევენციული პროგრამების განხორციელების გზით და სხვა.
- სახელმწიფო გარემოსდაცვითი კონტროლის სტრატეგიული მიმართულებების განვითარება. გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციული
- დარღვევების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) და უკანონოდ მითვისებული რესურსების კონფისკაცია.

დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში

ზარი უფასოა

ჩვენ თქვენს სამსახურში ვართ!

153

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი:

გულუას 6
თბილისი
www. moe.gov.ge
esd@moe.gov.ge
+995 (32) 272 72 87

ბროშურა მომზადებულია ნიდერლანდების გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია Ameco-ს დახმარებით © www.ameco-ut.nl



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს თავის საქმიანობას, რათა უზრუნველყოს გრძელვადიანი უპირატესობები:

უსაფრთხო გარემოს შექმნა და შენარჩუნება: უზრუნველყოს ჰაერის, წყლის, ნიადაგის, წიაღისეულის და ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ნარჩენების მართვა და ქიმიური უსაფრთხოება.

რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვა და თამაშის თანაბარი წესები ბიზნესისათვის: უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების მითხოვნების დაცვა და ხელი შეუწყოს ბიზნესს მდგრადი პრაქტიკების დანერგვაში, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვით ხარისხს, აუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს მომხმარებელთა და აქციონერთა ნდობას;

უკანონო ქმედებების მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის პრევენცია: უკანონო ქმედებებში იგულისხმება: თევზჭერის მეთოდების, რომლებიც გადაჭარბებულ თევზჭერას იწვევს; აკრძალული საშუალებებით და მეთოდებით ნადირობა; ხე-ტყის უკანონო ჭრა; უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავება; სასარგებლო წუაღისეულის უკანონო მოპოვება; გარემოს დაბინძურება; მიწის ნაყოფიერი ფენის უნებართვოდ მოხსნა.

საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა: დეპარტამენტი ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოების ნდობის გაძლიერებას გარემოსდაცვითი რეგულირების სისტემისადმი, ასევე ზოგადად სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისადმი, გარემოსდაცვითი ანგარიშების რეგულარული გამოცემებისა და გამჭვირვალობის გაზრდის გზით.

დეპარტამენტის სტრუქტურა

ცენტრალური აპარატი

- გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახური;
- ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახური;
- სწრაფი რეაგირების სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- ანალიტიკური სამსახური;
- ფინანსური სამსახური.

ტერიტორიული სამსახურები

- კახეთის სამსახური (ქ.თელავი);
- ქვემო ქართლის სამსახური (ქ.რუსთავი);
- აღმოსავლეთ ცენტრალური სამსახური (ქ.მცხეთა);
- დასავლეთ ცენტრალური სამსახური (ქ.ქუთაისი);
- სამცხე-ჯავახეთის სამსახური (ქ.ახალციხე);
- სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახური (ქ.ზუგდიდი);
- აჭარის სამსახური (ქ.ბათუმი);
- შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური (ქ.ბათუმი).

ღირებულებები

დეპარტამენტი ისწრაფვის:

- მიიღოს გადაწყვეტილებები მკაცრ შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან
- იმოქმედოს პროფესიული ცოდნის გამოყენებით
- მუდმივად გაუმჯობესოს შესრულების შედეგები
- იმოქმედოს გამჭვირვალედ და გაავრცელოს შესაბამისი ინფორმაცია

ურთიერთობა რეგულირების ობიექტებთან ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სამართლიანობა
მდგრადობა
გამჭვირვალობა
პროპორციულობა